განკარგულება:**გ-49. 492520610**
თარიღი:**25/07/2025**

**ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ -სათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული, როიალის“ ესტონია“( სერიული N5571, საინვენტარიზაციო N001474, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0 (ნული) ლარი ) , უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა, მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 10 ივლისის №48-4825191106 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას, სსიპ- თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიიდან 2025 წლის 4 ივლისის მიღება-ჩაბარების აქტით (თან ერთვის) უსასყიდლოდ, უვადოთ, სარგებლობის უფლებით გადმოეცა ერთი ერთეული მოძრავი აქტივი, კერძოდ: როიალი ,,ესტონია'', სერიული N5571; საინვენტარიზაციო N001474, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0 (ნული) ლარი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და $106^1$-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი“ -სათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული, როიალის“ ესტონია“( სერიული N5571, საინვენტარიზაციო N001474, ნარჩენი საბალანსო ღირებულება 0 (ნული) ლარი ) , უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართიქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი